საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
გ ა მ გ ე ო ბ ა

№ 380 "26" სექტემბერი 2011წ

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

გთხოვთ, განათავსოთ სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ ქსელში, ჩვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განცხადება ,, თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი-ქვემო ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
გამგებელი: კობა მაისურაძე

□□ ✉ 0900 ქ. ახმეტა, ☎ +995 249 2-16-09 ფაქსი: +995 249 2-15-16
ჩოლოყაშვილის ქ. № 49 +995 249 2-15-42
ელ-ფოსტა: Akhmeta_region@yahoo.com

საკონკურსო განცხადება

1. ახმეტის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია: **თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი -ქვემო ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტციის მომზადება.**

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **450(ოთხას ორმოცდაათი) ლარს.**

3.1. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა სულ **17500(ჩვიდმეტიათას ხუთასი)ლარი.**

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement. gov.ge).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამსთან მე-4 ან მე-5. პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ანდა ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 28 სექტემბერს

10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 4 ოქტომბერს12 -საათზე.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს 2011 წლის 4 ოქტომბრის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე. ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ.№49, მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონკურსო კომისია.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით)

ბ) გასაწევი მომსახურების ვადის შესახებ.

დ) ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

ე) რეკვიზიტები.

15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება 450(ოთხას ორმოცდაათი) ლარს არ განიხილება.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან შვიდი დღის ვადაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

18. კონკურსანტმა დოკუმენტაციის შედგენისას საჭირო კონსულტაციები უნდა გაიაროს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზებში.

19. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია.

20. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით.

21. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტებთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონტაქტო პირისგან მარიკა სააკაძე – 577-950-141.
22. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი:

- როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არამეწარმეთა იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ტექნიკური დავალება

კონკურსში გამოცხადებულ თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზისა და ზემო ხოდაშენი-ალავერდი -ქვემო ალვანის საავტომობილო გზის გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით წრიულისა და სამკუთხედის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუნენტაციის შედგენის სამუშაოებისათვის:

1. სიტუაციური გეგმა
2. პროექტი ჭრილებში
3. ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მომქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

საკონკურსო წინადადება

თარიღი _____

ვის: ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას

ვისგან: _____

შევისწავლეთ რა საკონკურსო დოკუმენტაცია . თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ _____ და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად _____ ლარი. ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ _____ გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების („შემდგომ ხელშეკრულება")ძალში შესვლიდან _____ საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად. (აქ შეიძლება ჩაიწეროს შესყიდვის ობიექტის ვადები ან დაწყება დასრულების კონკრეტული თარიღი)

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია _____ დღის განმავლობაში ,დაწყებული შემდეგი თარიღიდან _____

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 ოქტომბრის N 3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

საკონკურსო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1 _____

2_____

3_____

4_____

5_____

6_____

დირექტორი: _____